

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე, “საქართველოს სამოქალაქო კოდექსი” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

დევნილი მოსახლეობის პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი და საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 2 თებერვალს №47 განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგია ფაქტობრივად არის დევნილთა პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით ერთიანი ხედვისა და მიდგომის ჩამოყალიბება. კანონპროექტის მიღების მიზეზია დარეგულირდეს დევნილთა განსაკუთრებით მწვევე და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები, დროებითი დაკავებული ფართებიდან მათი გამოსახლების ფაქტებთან დაკავშირებული ზნეობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ცნობილია, რომ ამჟამად დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულთა 45%, ხოლო დანარჩენი 55% კერძო სექტორში – ნათესავეებთან, ნაცნობებთან ან ნაქირავეებ ბინებშია განთავსებული.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის №643 ბრძანებულების თანახმად, ადგილობრივ ორგანოებს ევალებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებული შესახლება უმოქმედო ობიექტებში, სხვადასხვა დაწესებულებების ადმინისტრაციულ შენობებში, ბაგა-ბაღებში, რაც პრაქტიკულად არ განხორციელებულა. შედეგად მოხდა დევნილთა უკონტროლო შესახლებები ზემოხსენებულ და ასევე სამეურნეო დანიშნულების სხვა ობიექტებში, რომლებშიც ისინი იმყოფებიან დღემდე. 14 წლის ექცეპლუატაციის შედეგად დევნილთა ჩასახლების ობიექტთა უმრავლესობა ამორტიზირებულია და იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, მოშლილია ელექტრო და წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა. მათი საცხოვრებელი პირობები ვერ აკმაყოფილებს ვერავითარ სანიტარულ ნორმებს. ბოლო პერიოდში ეს უმძიმესი სოციალური და ყოფითი პირობები კიდევ უფრო გაართულა ამ ობიექტების მეპატრონეთა აქტიურმა მცდელობებმა ყოველგვარი, მათ შორის მიუღებელი ხერხებით გამოსახლონ დევნილები დაკავებული შენობებიდან ალტერნატიული ფართისა და კომპენსაციის გარეშე, რაც საზოგადოებაში სერიოზული დაპირისპირების მიზეზად იქცა.

ამ ფაქტების შეწავლამ დაადასტურა, რომ დევნილთა ჩასახლების ობიექტების გასხვისება-შეძენაში დაშვებულია მთელი რიგი სამართლებრივი გადაცდენები.

სერიოზულად დაიძაბა სიტუაცია მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მესაკუთრის უფლებების დაცვის და კუთვნილი ქონების დაბრუნების პროცედურის გამარტივების თვალსაზრისით 2006 წლის 8 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლს დაუმატა მე-3 ნაწილი. ასევე შევიდა ცვლილება “საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ” მე-9 მუხლის I პუნქტის “ფ” ქვეპუნქტში.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2007 წლის 31 მარტს გამოსცა №495 ბრძანება, რომლის თანახმად პოლიციის ორგანოებმა, ადგილებზე მესაკუთრეების განცხადებებისა და სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, დაიწყეს დევნილთა გამოსახლება სხვადასხვა კომპაქტური ცენტრებიდან. ეს პროცესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დღესაც გრძელდება. სამოქალაქო კოდექსის

172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოიყენება დევნილთა განსახლების ცენტრებში უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 მარტის №495 ბრძანება მიღებულია საქართველოს კანონის “ნორმატიული აქტების შესახებ” 38-ე მუხლის მე-4 და მე-4 პუნქტების დარღვევით. შესაბამისად, ამ ბრძანებას იურიდიული ძალა არა აქვს და მის საფუძველზე ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარება არ შეიძლება. სხვა რაიმე ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციული აქტს, რომელიც პოლიციის მიერ გამოსახლების სპეციფიკურ პროცედურას განსახლვრავს ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ იცნობს. *მით უმეტეს იმ დროს, როცა საქართველოს კანონის “იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ” მე-5.4 მუხლის თანახმად, დევნილებთან საბინაო დავა წყდება სასამართლო წესით. ეს არის დღეს მოქმედი კანონი, გამომდინარე თავისი სპეციფიკიდან. მითითებული ნორმა არის ინპერატიული ხასიათის და ამდენად სავალდებულოა შესასრულებლად.* იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებს წარმოადგენენ შენობები, სადაც დევნილები ჩასახლებული არიან ხელისუფლების მიერ, სათანადოდ არიან დარეგისტრირებული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ და სამართლებრივად წარმოადგენენ დაკავებული ფართის მართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

დევნილი მოსახლეობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით, სიტუაციის განმუხტვისა და დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის წარმატებით განხორციელების მიზნით წარმოდგენილი კანონპროექტით შესაძლებელი გახდება საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის” 172-ე მუხლის მე-3 ნაწილში საკანონმდებლო ხარვეზის გასწორება.

კანონპროექტი მიზნად ისახავს, აფაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის”, 172-ე მუხლის მე-3 ნაწილში, სიტყვების ”სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე“-ს შემდეგ დამატებულ იქნას სიტყვები: “გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა”. შედეგად, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა, თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომლებზეც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება. ამასთან, უძრავი ნივთის მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშემშლის აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, არ განხორციელდება იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადახდილი ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახდელი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტი განხილულია აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, შეფასებულია დადებითად. არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.